

დადგენილება № _____

„ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს:

მუხლი 1.

„ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებაში (ვებ-გვერდი, 05.08.2014, 300320000.16.009.016091) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი პუნქტით დამტკიცებული „ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის, გადაცემის, განაწილების, გატარების და მოხმარების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ (დანართი №1):

ა) 31-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საწარმო ვალდებულია კომისიაში სატარიფო განაცხადი წარადგინოს არაუგვიანეს ტარიფის გაანგარიშების წლის 1 ივლისისა. თუ აღნიშნული თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ სატარიფო განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღეს.“;

ბ) 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹ პუნქტი:

„4¹. საწარმოს უფლება აქვს დააზუსტოს ან/და განაახლოს სატარიფო განაცხადის ფარგლებში კომისიაში შემოტანილი ინფორმაცია სატარიფო განაცხადის

წარმოდგენიდან არაუგვიანეს 90 დღის ვადაში. თუ მოცემული თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. ამ ვადის დარღვევით საწარმოს ინიციატივით წარმოდგენილი ინფორმაცია სატარიფო რეგულირების მიზნებისათვის მხედველობაში არ მიიღება.“;

გ) 32-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს ამ მეთოდოლოგიის ფარგლებში პირველად უდგინდება ტარიფი, კომისია უფლებამოსილია შესაბამისი ტარიფის მოქმედების ვადა განსაზღვროს მიმდინარე რეგულირების პერიოდის ბოლომდე.“.

2. მე-2 პუნქტით დამტკიცებული „ელექტროენერჯის წარმოების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ (დანართი №2):

ა) 23-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საწარმო ვალდებულია კომისიაში სატარიფო განაცხადი წარადგინოს არაუგვიანეს ტარიფის გაანგარიშების წლის 1 ივლისისა. თუ აღნიშნული თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ სატარიფო განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღეს.“;

ბ) 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹ პუნქტი:

„4¹. საწარმოს უფლება აქვს დააზუსტოს ან/და განაახლოს სატარიფო განაცხადის ფარგლებში კომისიაში შემოტანილი ინფორმაცია სატარიფო განაცხადის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 90 დღის ვადაში. თუ მოცემული თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. ამ ვადის დარღვევით საწარმოს ინიციატივით წარმოდგენილი ინფორმაცია სატარიფო რეგულირების მიზნებისათვის მხედველობაში არ მიიღება.“;

გ) 24-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს ამ მეთოდოლოგიის ფარგლებში პირველად უდგინდება ტარიფი, კომისია უფლებამოსილია შესაბამისი ტარიფის მოქმედების ვადა განსაზღვროს პირველი რეგულირების პერიოდის ბოლომდე.“.

3. 2¹ პუნქტით დამტკიცებული „გარანტირებული სიმძლავრის საფასურის, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ (დანართი №3) 22-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საწარმო ვალდებულია კომისიაში სატარიფო განაცხადი წარადგინოს არაუგვიანეს ტარიფის გაანგარიშების წლის 1 ივლისისა. თუ აღნიშნული თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ სატარიფო განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღეს.“;

ბ) მე-4 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹ პუნქტი:

„4¹. საწარმოს უფლება აქვს დააზუსტოს ან/და განაახლოს სატარიფო განაცხადის ფარგლებში კომისიაში შემოტანილი ინფორმაცია სატარიფო განაცხადის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 90 დღის ვადაში. თუ მოცემული თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. ამ ვადის დარღვევით საწარმოს ინიციატივით წარმოდგენილი ინფორმაცია სატარიფო რეგულირების მიზნებისათვის მხედველობაში არ მიიღება.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

ირინა მილორავა

კომისიის წევრი

გოჩა შონია

კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

დავით წარმანია